რას გვპირდება „პოლიტიკური აუქციონი“?!

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმდინარეობს საპრეზიდენტო წინასაარჩევნო მარათონი. საზოგადოების არც ერთი ფენა არ შეიძლება გულგრილი დარჩეს ამ ფრიად საპასუხისმგებლო მოვლენის მიმართ. მით უმეტეს, საქმიანი წრეებისთვის სულ ერთი არ იქნება ვინ მოვა ხელისუფლების სათავეში.

უახლოესი წლების ქრონიკა ადასტურებს, რომ სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, მდგრადი, უსაფრთხო განვითარების პრიორიტეტებისკენ ორიენტირება, ექსპორტის თუ იმპორტის სტიმულირება, ჯანსაღი ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების რეალიზაცია, ომი თუ მშვიდობა ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს წინამძღოლის გამჭრიახობასა და მის კეთილნებელობაზე.

ყველა ნიშნის მიხედვით, ჩვენი არჩევანი ქვეყნისთვის აწმყო და მომავალიცაა.

ამდენად, საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს, ვის და რას უნდა დაუჭიროს მხარი.

შეიძლება ითქვას, პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპები, არჩევითობის კულტურა ჩვენში ახლა მკვიდრდება და ამ მხრივ მდიდარი გამოცდილება არც გაგვაჩნია. ამომრჩეველთა მხრიდან სწორი გადაწყვეტილების მიღებას ართულებს ისიც, რომ პრეტენდენტთა მიერ გაკეთებული წინასაარჩევნო განაცხადები ღამაზადაა „შეფუთული“

მარათონში მონაწილეთა ერთმა ნაწილმა უკვე გამოაქვეყნა თავისი, ასე ვთქვათ, პლატფორმა. მოეწყო მათი პომპეზური წარდგენები თუ პრეზენტაციები.

ცალკეულ მათგანში აშკარად იკითხება უხვი დაპირებები და მშრალი ლოზუნგებიც. ყველას როდი ძალუძს მათში გაარჩიოს რეალობა და სინამდვილე. ასეთ დროს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და მისია ეკისრება მედიას, რომელმაც მკითხველს თუ მაყურებელს სწორი, მიუკერძოებელი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს. სწორედ ამ მიზნით, მკითხველს ვთავაზობთ ექსპერტთა მოსაზრებებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატების გამოქვეყნებულ პროგრამებზე.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ექსპერტებს შემდეგი კითხვებით მივმართეთ:

1. წარმოდგენილი სპექტრიდან განსაკუთრებით რომელ კანდიდატს (ან რამდენიმეს ერთად) გამოარჩევდით? რამდენად რეალურია პრეზიდენტობის კანდიდატთა პროგრამები (ან, საერთოდ, არის თუ არა ისინი პროგრამა) - რა განსაკუთრებულ პრიორიტეტებს გამოყოფდით მათში. კერძოდ, რა მნიშვნელოვან და განსაკუთრებულ ვალდებულებებს იღებენ ისინი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში, შესაძლებელია თუ არა პროგრამაში ჩამოთვლილ მიმართულებებათა განხორციელება, როგორია საკადრო რესურსი, არსებობს თუ არა შესაბამისი წყაროები, რა გავლენას იქონიებს დაპირებათა შესრულება საქართველოს ბიუჯეტზე, რას უქადის ეს ქვეყანას - გარე სამყაროსგან იზოლაციას თუ უკიდეგანო სივრცესთან ინტეგრაციას და თვითმყოფადობის წალეკვას?

2. რა ანალოგებს ხედავთ კანდიდატების პროგრამებში?

3. ტრადიციულად, ყველა წინასაარჩევნო დაპირებები პოპულისტურია, არაფერი აქვს საერთო რეალობასთან, კამპანია მიმდინარეობს პრინციპით, „მიზანი ამართლებს საშუალებას“. თუ ახლანდელი მარათონიც ძველებურად წარიმართება, მოსალოდნელი შედეგები უდაოდ სავალალო და დამანგრეველი იქნება. სამწუხაროდ, პირველი ნაბიჯები მოწმობს, რომ ძველი სენისაგან არ განთავისუფლებულვართ.

თქვენის აზრით, წარმოდგენილი პროგრამებისა და არსებული რეალობის გათვალისწინებით, რასთან გვაქვს საქმე: არაკომპეტენტურობასთან, თუ ამომრჩევლის გაცურებასთან?

ლადო პაპავა:

საარჩევნო პროგრამების კულტურა საქართველოში არ არსებობს!

ალბათ, ყველაზე მთავარი, ზოგადი შეფასებაა. რამდენიმე საპრეზიდენტო კანდიდატმა პროგრამა უკვე გამოაქვეყნა, თუმცა, ყველამ არა, მაგალითად, ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არ არის ბადრი პატარკაციშვილისა და გია მაისაშვილის პროგრამები. რაც შეეხება ლევან გაჩეჩილაძის პროგრამას, ეს მხოლოდ ძირითადი მიმართულებებია და არა პროგრამა, თუმცა, შესაძლოა, მას ყველაზე ნაკლებად მოეთხოვება ეკონომიკური პროგრამის წარმოდგენა, რადგანაც, როგორც აცხადებს ის დროებით მოვა პრეზიდენტად, რათა შეცვალოს კონსტიტუციური მოწყობა და შემდეგ გადადგეს. ხელმისაწვდომია შალვა ნათელაშვილისა და მემარჯვენეთა ლიდერის დავით გამყრელიძის საპრეზიდენტო პროგრამები. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის პროგრამას, ხელთ არა მაქვს, მაგრამ ის განცხადებები, რაც კეთდება, პრაქტიკულად წარმოდგენას იძლევა, რა დაპირებები მისცა მან მოსახლეობას. შეიძლება ითქვას– ყველა ეს დოკუმენტი ცხადყოფს, რომ საქართველოში, როგორც ადრე, პროგრამები დღესაც ფორმალურ ხასიათს ატარებენ – სინამდვილეში ისინი არავის არ სჭირდება. ეს მეორეხარისხოვანი, ფაქტობრივად, უინტერესო საკითხია, რადგან ამომრჩეველი, როგორც წესი, თავის არჩევანს პროგრამებიდან გამომდინარე არ აკეთებს. ეს დამოკიდებულება თვით ამ დოკუმენტებზეც აისახება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი უფრო დეტალურად და არგუმენტირებულად იქნებოდა დაწერილი. ეს კი ასე არ არის იმიტომ, რომ ამის საჭიროება საზოგადოებაში ნამდვილად არ არსებობს. ეს უფრო ერთგვარი ვალდებულებაა იმისა, რომ თუ კანდიდატი ხარ არჩევნებში, პროგრამაც უნდა გქონდეს. ამას ვამბობ არა მხოლოდ ამ პროგრამების გაცნობის შემდეგ, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც, ამა თუ იმ ეტაპზე, თვითონაც მიმიღია მონაწილეობა სხვადასხვა პროგრამის შედგენაში, ამიტომ შემიძლია ხმამაღლა და თამამად ვთქვა: დღესაც კი **საარჩევნო პროგრამების კულტურა საქართველოში არ არსებობს**! ახლანდელი წინასაარჩევნო კამპანია ადასტურებს, რომ ამჟამად მიმდინარეობს ერთგვარი პოლიტიკური აუქციონი – ვინ უფრო მეტს გადაიხდის ამომრჩევლის ხმის საყიდლად, კანდიდატები სწორედ ამაში ეჯიბრებიან ერთმანეთს! არის სხვადასხვა ტიპის დაპირება, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ჯერჯერობით ძნელად დასათვლელია (თუმცა, ყველაფერი საბოლოოდ მაინც დაითვლება) და, ალბათ, ფანტასტიკურ თანხებზე ავალთ იქიდან გამომდინარე, ამ დაპირებათა რა ნაწილი დაფინანსდება ბიუჯეტიდან. ბუნებრივია, ყველა ეს დაპირება გათვლილია იმაზე, რომ მოსახლეობა სოციალურად შეჭირვებულია, შესაბამისად, გამოკვეთილია აუქციონის პირობებიც – ოღონდაც ხმა მომეცით და მე უფრო მეტს გადაგიხდით. ამ პროცესში ბოლო სიტყვის მთქმელს ჰგონია, რომ სწორედ ის მოიპოვებს სანუკვარ ხმას.

აქედან გამომდინარე, საქართველოში დღეს მიმდინარე პოლიტიკურ აუქციონში აშკარად გამოკვეთილი ლიდერი მიხეილ სააკაშვილია, და ეს ბუნებრივიცაა – დღეს მთავრობასა და პარლამენტის უმრავლესობაში მისი გუნდის წევრები არიან. ასე რომ, როცა ის რამეს ჰპირდება ხალხს, ეს დაპირება არის არა მარტო აბსტრაქტული და რაღაც შორეული მომავლის პერსპექტივა, არამედ საკმაოდ რეალური, ხოლო ზოგიერთი მათგანი, უკვე შესრულებულიც. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე მიხეილ სააკაშვილი ფორმალურად პრეზიდენტი არ არის, ის საპრეზიდენტო

კანდიდატია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პრემიერ-მინისტრი, მთელი მთავრობა, მისი გუნდია და იგი მასზე მუშაობს, ამასთან, მთავრობისა და პარლამენტის წევრები არა მხოლოდ მისი უბრალო გულშემატკივრები, არამედ წინასაარჩევნო კამპანიის აქტიური თანამონაწილეებიც არიან, აღარაფერია გასაკვირი, რომ მიხეილ სააკაშვილის დაპირებათა აღსრულება ამ ეტაპზე უკვე დაწყებულია.

რაც შეეხება ზოგადად საპრეზიდენტო პროგრამებსა და დანაპირებებს: იქმნება შთაბეჭდილება (და არა მარტო შთაბეჭდილება, რეალური სურათიც ისეთია), რომ ვინც არ უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, ის ყველაზე გრანდიოზული დაპირებაც კი, რასაც დღეს გასცემს მიხეილ სააკაშვილი, ნებისმიერ მათგანს შესასრულებელი ექნება. მაგალითად, ახალი მემარჯვენეები საპრეზიდენტო პროგრამით ამბობენ, რომ მშობიარობისას საჭიროა ყოველ ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების სახითუნდა გაიცეს 500 ლარი, სააკაშვილი კი გვპირდება, რომ გაიცემა 1000 ლარი. წარმოიდგინეთ, თუ გამყრელიძე გახდება პრეზიდენტი, თანხას შეამცირებს და 500 ლარს გასცემს?! იძულებული იქნება, რომ გააგრძელოს იმ 1000-ლარიანი დახმარების გაცემა, რაც ძალაში იკვე 2008 წლის 1 იანვრიდან შევა. იგივეა გაზრდილ პენსიებთან დაკავშირებით – ახალი წლიდან იქნება 75 ლარი. როგორ, ვინც არ უნდა გახდეს პრეზიდენტი, ნაკლებს გასცემს?! ეს ხომ შეუძლებელია, მით უფრო, რომ დაპირებაა, უახლოეს პერიოდში პენსია 100 დოლარის ექვივალენტი გახდებაო. ეს ისეთი დაპირებებია, რომლებიც არა მარტო მიხეილ სააკაშვილის შესასრულებელია (თუკი ის ხდება პრეზიდენტი) – ნებისმიერს, ვინც არ უნდა გახდეს პრეზიდენტი, ეს დანაპირები მემკვიდრეობად დახვდება.

2 თუ შევადარებთ **შალვა ნათელაშვილისა** და **დავით გამყრელიძის** პროგრამებს, აღმოჩნდება, რომ მათ შორის ძალიან ბევრი მსგავსებაა. ეს, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ დაპირებებში ჩანს. მაგალითად, ნათელაშვილთან ვკითხულობთ – 14 წლამდე მკურნალობა იქნება უფასო. რა წერია ამასთან დაკავშირებით გამყრელიძესთან – 14 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობის ხარჯების მთლიანად სახელმწიფო დააფინანსებსო. ძალიან ბევრი ასეთი ანალოგიის პოვნა შეიძლება ამ პროგრამებში. სულაც არ მიკვირს, როდესაც ლეიბორისტები ყველაზე დიდ აქცენტს სოციალურ მომენტებზე აკეთებენ, ეს მათი მემარცხენე ორიენტაციიდან გამომდინარეობს, მაგრამ ძალიან მემარცხენე ჩანს ახალი მემარჯვენეების პროგრამაც. მაგალითად, ბატონი ნათელაშვილის პროგრამაში ნათქვამია, რომ ის აუცილებლად მოახდენს ნაციონალიზაციას – **ხალხს გამგებლობაში დაუბრუნდება ყველა გაყიდული სტრატეგიული სიმდიდრე** – წყალი, ტყეები, წიაღისეული, ძირითადი ენერგეტიკული ობიექტები, სკოლები, ბაღები, საავადმყოფოები, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ობიეტქები. თუმცა, იქვე წერია, რომ კერძო საკუთრება იქნება ხელშეუხებელი. გაუგებარია, როგორ უნდა მოხდეს ქონების დაბრუნება, თუკი ამა თუ იმ ობიეტქის პრივატიზაცია კანონმდებლობის სრული დაცვით მოხდა! **იქმნება შთაბეჭდილება, რომ შალვა ნათელაშვილის პროგრამა გარკვეული გაგრძელება იმ სულისკვეთებისა, რაც ნაციონალებს ჰქონდათ 2003 წლის მერე, როცა ისინი ხელისუფლებაში დეპრივატიზაციის მოწოდებით მოვიდნენ, ანუ ობიექტების ჩამორთმევა მათი ხელახალი პრივატიზაციის მიზნით. ლეიბორისტები კი სრულ ნაციონალიზაციაზე საუბრობენ. ასეთ პირობებში კერძო საკუთრება როგორ იქნება ხელშეუხებელი, წარმოუდგენელია.** რაც შეეხება ახალ მემარჯვენეებს, აქ ყველაზე რთულად შესასრულებლად მომეჩვენა შემდეგი – სახელმწიფომ შიდა ვალში აიღოს მეანაბრეთა მიმართ ფინანსური ვალდებულება და მოხდეს მისი ეტაპობრივი დაფარვა სხვადასხვა მსხვილ საწარმოში სახელმწიფოს კუთვნილ აქციათა წილის ფასიანი ქაღალდების გადაცემის გზით. ეს ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, იმიტომ რომ, როგორც კი მსხვილ საწარმოებში სახელმწიფოს კუთვნილ აქციათა წილს გადავცემთ მეანაბრეებს, საწარმოს განვითარება მომენტალურად დამუხრუჭდება. თავად განსაჯეთ – რისთვის უნდა მეანაბრეს ეს წილი? იმისთვის, რომ ფული მიიღოს. არადა, წესით, აქციები იმისთვის უნდა გაიყიდოს, რომ საწარმომ მიიღოს ფული და ნორმალური მუშაობა შეძლოს! ანუ, ეს არის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო რამ და, გამომდინარე აქედან, ჩემთვის გაუგებარია, მემარჯვენე აქციებით აპირებდეს ძველი ვალის გასტუმრებას! როცა ასეთ რამეს ლეიბორისტები ამბობენ, გასაგებია, მაგრამ როცა ამას მემარჯვენე ამბობს, სხვაა. თუ გვინდა, რომ საწარმო განვითარდეს, ამისთვის საჭიროა ფულის მოზიდვა და არა გადასცე აქციები, ვიღაცას, გაჭირვებულ კაცს, რომელიც იქით ელო-

დება ფულს. არის კიდევ ერთი საკითხი – ანაბრები. ეს საკითხი ძალიან რთული თემაა და მე ყოველთვის დიდი სიფრთხილით ვეკიდები მას. ერთხელ ჩატარდა გათვლები ამ კუთხით (90-იან წლებში), რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ რეალურად ყველა დროის შესაბამისი გაცვლითი კურსი რომ ავიღოთ, გავითვალისწინოთ ინფლაციის დონე, ანუ ყველა ის კომპონენტი, რითაც პრაქტიკულად მოხდა ამ ანაბრების გაუფასურება, ყველა მეანაბრე კმაყოფილი რომ დარჩეს, საჭიროა სულ ცოტა 200 მილიარდი აშშ დოლარი! ჩვენი გეოლოგების შეფასებით კი იმ სასარგებლო წიაღისეულის ღირებულება, რომელიც საქართველოს გააჩნია (მათ შორის არა მარტო ის, რომლის ექსპლუატაციასაც ვახდენთ, არამედ ისიც, რომლის გამოყენებაც ჯერ არ დაწყებულა) არის სადღაც 55-58 მილიარდი აშშ დოლარისა, ანუ თითქმის 4-ჯერ ნაკლები, ვიდრე საჭიროა ანაბრების დასაბრუნებლად. გამოდის, რომ მთელი ჩვენი წიაღისეული რომ გავყიდოთ, მაინც ვერ გადავიხდითი ამ ვალს. შეიძლება გათვლის მეთოდიკა შევცვალოთ და იყოს არა 200 მილიარდი, არამედ, ვთქვათ, 2 მილიარდი. მაგრამ 2 მილიარდიც კი, ანუ 100-ჯერ ნაკლები, გადასახდელად ფანტასტიკურად დიდი თანხაა საქართველოს დღევანდელი ეკონომიკისთვის. თანაც, 2 მილიარდამდე რომც დავიყვანოთ გადასახდელი თანხა, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მაინც უკმაყოფილო დარჩება. ყველას შესანიშნავად ახსოვს, რა იყო 20 ათასი მანეთი მაშინ, 80-იან წლებში, და რა უნდა მისცე დღეს ამ თანხის სანაცვლოდ მეანაბრეს?! აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ასეთი გათვლები არ იქნება პოპულარული, რადგანაც მოსახლეობას მაინც ეგონება, რომ ის მოატყუეს. აქედან გამომდინარე, ყველა ამ ტიპის დაპირება ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის, საკმაოდ რთული აღსაქმელია..

რაც შეეხება ლევან გაჩეჩილაძის პროგრამას, მასში ნაკლებია დაპირება, თუმცა, ეს პროგრამა არ არის, ეს პროგრამის მხოლოდ ძირითადი მიმართულებებია და ამ თვალსაზრისით, ის უფრო რეალისტურად მეჩვენება. თუმცა, მასში არის ზოგიერთი ისეთი განცხადებაც, რომელიც ბევრ კითხვას ბადებს. მაგალითად, საკითხი, თუ რა დარგები უნდა განვითარდეს საქართველოში და რომელი მათგანია პრიორიტეტული. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ასეთებია: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და მსუბუქი მრეწველობა. სოფლის მეურნეობა და ტურიზმი კი, ბატონო, მაგრამ მსუბუქი მრეწველობა რატომ გაჩნდა ამ ჩამონათვალში, აბსოლუტურად გაუგებარია, რადგან მსუბუქი მრეწველობისთვის საჭირო სანედლეულო ბაზა საქართველოს არ გააჩნია. მაგალითად, სამკერვალო წარმოება შეიძლება განავითარო, მაგრამ ბამბა ჩვენ არ გვაქვს, ცნობილია, რომ ჩვენი მატყლი კი სათანადო ხარისხისა არ არის და აუცილებლად სჭირდება შერევა. ასეთი ჩანაწერები საარჩევნო პროგრამებში მრავლადაა, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამასაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, არავინ არ შეეჯიბრება ერთმანეთს პროგრამებით, დღევანდელი ამომრჩეველი კანდიდატს პროგრამის გამო არ მისცემს ხმას.

პროგრამათა ერთი ყველაზე დიდი ნაკლი, რამაც ყველაზე მეტად დამწყვიტა გული, ის არის რომ ისინი გაუმართავია! რომ კარგი იქნებოდა, არა მარტო პროფესიონალებს, ქართული ენის მცოდნეებსაც გადაეკითხათ ეს დოკუმენტები მანამ, სანამ გამოქვეყნდებოდა. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ის ქართული, რითაც ეს დოკუმენტებია დაწერილი. ფილოლოგი არ ვარ და თავს არ ვდებ ქართული ენის სრულყოფილ ცოდნაზე, მაგრამ ჩემი გემოვნების კაცსაც კი, რომელიც ლიტერატორი არ არის, არც ერთი ეს დოკუმენტი არ აკმაყოფილებს, ვინაიდან საშინელი ქართულითაა დაწერილი! მაგალითად, ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ – სახელმწიფო გასწევს დახმარებას ჩასახვიდან მშობიარობამდე. იუმორია, აბა, რა?! ამას რომ კაცი სერიოზულად დაწერს (მე არ ვასახელებ, რომელ პროგრამაშია ეს ჩანაწერი)... რას ნიშნავს „ჩასახვიდან“, ხომ შეიძლებოდა უბრალოდ ეთქვათ, რომ სახელმწიფო დაეხმარება ფეხმძიმობის პერიოდში, ეს ხომ ელემენტარულია, აღარაფერს ვამბობ ტერმინოლოგიურ დაუხვეწაობაზე!

ვიმეორებ, ჩემი ღრმა რწმენით, მოსახლეობისთვის არჩევანის გაკეთების საფუძველი არ იქნება პროგრამები, ისევე როგორც ეს ადრე არ ყოფილა. ძალიან საინტერესოა, რა პროგრამას შემოგვთავაზებენ ბადრი პატარკაციშვილი და გია მაისაშვილი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათი დაპირებებიც აუცილებლად ჩაჯდება უკვე მიმდინარე პოლიტიკურ აუქციონში, სხვანაირად დღეს ამომრჩევლის ხმას ვერაფრით მიიზიდავენ... ლეიბორისტები ყველაფრის უკან დაბრუნებას გვპირდებიან, მაგრამ როცა ისინი ამბობენ, რომ კერძო

საკუთრება ხელშეუხებელი იქნება, ალბათ, ამაში სტრატეგიულ ობიექტებს არ გულისხმობენ, თუმცა, როცა სტრატეგიულ ობიექტებს ჩამოთვლიან, სიაში თითქმის ყველაფერი შეაქვთ. ასევე გაუგებარია ასეთი ჩანაწერი მათ პროგრამაში – სასწრაფოდ განახევრდება ტარიფები ელექტროენერგიაზე, გაზზე, ტრანსპორტზე, სატელეფონო კავშირზე, სხვა კომუნალურ გადასახადებზე. ძალიან კარგი, მე, როგორც მოქალაქეს, მიხარია, რომ გადასახადები განახევრდება, მაგრამ რატომ განახევრდება და არ გამესამედდება? ყველაფერი როგორ უნდა განახევრდეს, დათვლილი აქვს ეს ვინმეს? ხომ არ შეიძლება მექანიკური განახევრება მოხდეს?! ელექტროენერგიაზე, ვთქვათ, შეიძლება განახევრება, მაგრამ შესაძლოა, გაზზე არ გამოგვივიდეს ეს. და თუ განახევრდება, გამოდის, რომ სინამდვილეში რაც ჯდება ელექტროენერგია და გაზი, იმაზე ნაკლები უნდა გადავიხადოთ. მაშინ, ვინ უნდა დაფაროს ის მეორე ნახევარი? რაღა თქმა უნდა, ბიუჯეტმა, ანუ ისევ ჩვენ, მთელმა მოსახლეობამ! ასე რომ, ეს დაპირება დაუსაბუთებელია და სჭირდება უფრო სერიოზული მიდგომა. იგივე ითქმის დაპირებაზე ანაბრებთან დაკავშირებითაც – გადაუდებლად დაიწყება ანაბრების გაცემა ეტაპობრივად, პრინციპით, უფროსი ასაკიდან – ქვემოთ, სამართლიანი კურსით, ბანკში ანაბრების შეტანის მომენტისათვის აშშ დოლართან არსებული კურსით, ამბობენ ლეიბორისტები. აქციებით აბრუნებენ ანაბრებს მემარჯვენეები, ესეც გაუგებარია.. ასე რომ, დღეს ყველაზე უფრო ნეიტრალური გაჩეჩილაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტია, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ეს არ არის პროგრამა. ამ ფონზე ყველაზე თვალშისაცემი ის დაპირებებია, რასაც საპრეზიდენტო კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი იძლევა, ვინაიდან ეს არის დაპირებები პრაქტიკულად ძალიან დიდ თანხებზე. ავიღოთ 60-მილიონიანი დასაქმების პროგრამა. სინამდვილეში დასაქმდება N-რაოდენობა ადამიანებისა, მაგრამ ამით ქვეყანაში დასაქმების პრობლემა, რა თქმა უნდა, ვერ მოიხსნება, ყოველ შემთხვევაში, პროგრამა 100 ათას კაცზე არის გათვლილი, მაგრამ ამ 100 ათასიდან ყველაზე დიდი, 5 ათასმა თუ იპოვა სამსახური, ესეც ძალიან დიდი მიღწევა იქნება, მაგრამ **5 ათასი კაცის დასაქმება 60 მილიონ ლარად ძალიან დიდი ფუფუნებაა საქართველოსთვის.** თურმე 15 ათასი ვაკანსია აღმოაჩნდა „საქართველოს რკინიგზას“. საინტერესოა, როგორ მუშაობდა კადრების ასეთი დეფიციტის პირობებში აქამდე?! არადა, რკინიგზა ერთ-ერთი წარმატებული და კარგად მომუშავე ობიექტია. თუკი მას 15 ათასი ვაკანსია აქვს, გამოდის, რომ სტრუქტურა ფაქტობრივად არ უნდა არსებობდეს! რომელიღაც ბანკს ათას ხუთასი ვაკანსია აღმოაჩნდა, რომელიღაც ფირმას – 1000, ეს ცოტა სასაცილოც კია! როგორ, ყველას ახლა აღმოაჩნდა ეს ვაკანსიები? და კიდევ ერთი – თუ ვინმეს დასაქმების სურვილი აქვს მეწარმეს, ის თვითონ მიიზიდავს კადრებს. ასე რომ, ეს 60 მილიონი ლარი მხოლოდ ინფლაციას შეუწყობს ხელს და მნიშვნელოვან შედეგს არ მოგვცემს.. კიდევ ერთი – იზრდება ხელფასები და პენსიები. ძალიან კარგი, როგორ არ უნდა გაიზარდოს, როდესაც მოსახლეობას ასე უჭირს, მაგრამ არა მყისიერად და არა ერთდროულად ყველგან! კარგი იქნებოდა, რომ მთავრობას პერიოდულად, ეტაპობრივად გაეზარდა პენსიები და ხელფასები. მაშინ ეს ყველაფერი ასეთი დიდი დარტყმა არ იქნებოდა ქვეყნისთვის. ამას ემატება შეღავათიანი კრედიტების საპრეზიდენტო დაპირებაც, რომელიც, ერთი მხრივ, ძალიან კარგია ბიზნესის განვითარებისთვის, მაგრამ... როდესაც პარლამენტში მოვიდა ლადო გურგენიძე, თქვა, რომ ის ვერ მოახერხებს 2008 წლისთვის პროფიციტური ბიუჯეტის მომზადებას, ვინაიდან ძალიან დიდი დაკვეთაა სხვადასხვა ხარჯებზე, ძირითადად სოციალური მიმართულების ხარჯებზე. თქვა ისიც, რომ ის შეეცდება, პროფიციტური ბიუჯეტი 2009 წელს წარმოადგინოს. ჩემს შეკითხვაზე, 2008 წელს როგორ დაარეგულირებს ინფლაციას, იყო პასუხი, რომ ამას გააკეთებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკით. ჯერ ერთი, მას უფლება არ ჰქონდა ეთქვა, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკით მიაღწევს რამეს, რადგან ეროვნული ბანკი მთავრობისგან დამოუკიდებელია; მეორეც, ასეთი პოლიტიკა გულისხმობს, რომ საპროცენტო განაკვეთი უნდა გაიზარდოს, რათა რაც შეიძლება ნაკლები ფული გავიდეს ბანკიდან, ეს არის საკმაოდ ქმედითი მექანიზმი. თუ ბანკიდან ნაკლები ფული უნდა გავიდეს, მაშინ, დიდი ბოდიში და, 300 მილიონი ლარი 4-10%-მდე საიდანღა უნდა გაიცეს? ეს ხომ აბსოლუტურად ძირგამომთხრელია იმ იდეოლოგიისა, რაც პრემიერ-მინისტრს გააჩნია. და მაინც, მიუხედავად ამისა, ის ეთანხმება მიხეილ სააკაშვილის დაბალპროცენტიანი კრედიტების ინიციატივას! წარმოიდგინეთ, ფულის რამხელა მასა უნდა დააწვეს საქართველოს ეკონომიკას ამის შემ-

დეგ! უფრო მეტიც, ეს პროცესი ხომ საპრეზიდენტო არჩევნებით არ მთავრდება, 2008 წელს ჩვენ კიდევ ერთი, საპარლამენტო არჩევნები გვექნება (ყველაზე მეტი ალბათობით, გაზაფხულზე ან შემოდგომაზე მაინც). წარმოიდგინეთ, იქ რა დაპირებები წავა! მათ შორის იმისგან, ვინც იქნება პრეზიდენტი, რათა თავისი უმრავლესობა გაიყვანოს პარლამენტში. ასე რომ, ჩვენ გვექნება დაპირებების ფეიერვერკი, გაგრძელდება პოლიტიკური აუქციონი და, ბუნებრივია, ფულის ხარჯვაც. ვეჭვობ, რომ ჩვენი ბიუჯეტი ეროვნული ბანკის გარეშე ამას გაწვდეს. ეროვნულ ბანკში კი, მოგეხსენებათ, არ ინიშნება პრეზიდენტი. დავით ამაღლობელს დიდ პატივს ვცემ, როგორც კარგ პროფესიონალს, მაგრამ ის არის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და არა პრეზიდენტი, სუსტი ეროვნული ბანკი კი კარგი მექანიზმია საიმისოდ, რომ მთავრობამ, ის აკეთოს, რაც მას სურს...

მე როგორც ეკონომიკური ექსპერტი, გეტყვით არა, ასეთი რამ ნამდვილად არ იქნება, უბრალოდ, რეალურად უნდა შევხედოთ მდგომარეობას. განსაკუთრებული კატასტროფა არ გველის, თუმცა, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და შევეგუოთ იმას, რომ თითოეულ ჩვენთაგანს ერთი ლარით უფრო ნაკლები პროდუქციის ყიდვა შეგვეძლება, ვიდრე ეს დღეს შეგვიძლია.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი შეიძლება იყოს ინფლაციის სავარაუდო პროცენტი, გიპასუხებთ: – თუ საქართველოში ინფლაციამ 30-40%-ს არ გადააჭარბა, ამ დაპირებათა ფონზე ეს იქნება დიდი მიღწევა! ერთადერთი, ვისაც შეუძლია, ეს დაპირებები არ შეასრულოს და ეს ყველაფერი გადაავადოს, ისევ და ისევ მიხეილ სააკაშვილია, თუკი ის გახდება პრეზიდენტი. სხვა დანარჩენ კანდიდატებს ეს დაპირებები მძიმე ტვირთად დააწვებათ, თუმცაღა, შეიძლება ვცდები და სააკაშვილმა თავის დაპირებები დროულადაც კი შეასრულოს.